



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 363

ქალაქი ქუთაისი 22 თებერვალი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმების

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-14 პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების: ბესიკ ბრეგაძისა და გიორგი უკლებას 2017 წლის 30 იანვრის N100/02 და N103/02 წერილობითი განცხადებების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2017 წლის 3 თებერვლის N52-02 დასკვნის საფუძველზე:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები: ბესიკ ბრეგაძე და გიორგი უკლება პირადი განცხადების საფუძველზე, გავიდნენ ამ ფრაქციის შემადგენლობიდან;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაუქმებულია;
3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, დავით გოგისვანიძე განთავისუფლებულია ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების: ბ.ბრეგაძისა და გ.უკლებას 2017 წლის 30 იანვრის N100/02, N103/02 წერილობითი განცხადებები და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2017 წლის 3 თებერვლის N52-02 დასკვნა წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის/

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს 2017 წლის 1-ლი მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,  
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი

ბექა ყანჩელი